ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მარიკა დარჩიას

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის და განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს თავმჯდომარე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა:

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის ნოემბრიდან დღემდე სულ ჩატარდა ბიუროს 28 და საკრებულოს 29 სხდომა. საკრებულოს სხდომებზე მიღებულია 397 განკარგულება და 127 დადგენილება. როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, მონაწილეობა მაქვს მიღებული საკრებულოს სხდომაზე განსახილველი სხვადასხვა საკითხის მომზადებაში. ასევე მინდა აღვნიშნო ჩემი მონაწილეობა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“სხდომებში. 34 სხდომიდან

ვესწრებოდი 29 სხდომას, სადაც ვიმსჯელეთ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საკითხებზე, ჯანდაცვის პროგრამებზე, სატრანსპორტო პოლიტიკაზე, ეკოლოგიურ პრობლემებზე, ქაოტური განაშენიანების რეგულირებაზე, მუნიციპალური ავტოპარკის განახლებაზე, ტაქსების რეგისტრაციისა და მისგან გამოწვეულ პოზიტიურ ცვლილებებზე.

კომისიური მუშაობა

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

2017 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 21 სხდომა. სულ დავესწარი 16 სხდომას. სხდომაზე მონაწილეობა მივიღე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვაში. ჩემი უშუალო ჩართულობით განხილული იქნა დედაქალაქის 165 უსახელო გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის მინიჭების საკითხი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯოვანი სკუდიერის სახელის გახსენება, ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც დასრულდა მისი სახელობის ქუჩის გახსნბით, ერთ-ერთი ჩემი ინიციატივა იყო. ასევე ვმონაწილეობდი „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვაში, სადაც ვიმსჯელეთ დედაქალაქში ახალი დიზაინის სამისამართე აბრებთან დაკავშირებით ბიუჯეტში გასათვალისწინებელი თანხების შესახებ. კომისიის თავმჯდომარესთან და წევრებთან ერთად შევიმუშავეთ კომისიის სამუშაო გეგმა და პრიორიტეტებად გამოვყავით შესასრულებელი ყველა საკითხი.

განათლებისა და კულტურის კომისია

2017 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე გაიმართა განათლებისა და კულტურის კომისიის 21 სხდომა, რომელზეც განვიხილეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული 29 საკითხი. აქტიურად ვიყავი ჩართული ყველა საკითხის განხილვაში. მათ შორის გამოვყოფ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დაფუძნების საკითხი“, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურული ღონისძიებები“, „შემოქმედებითი თბილისი“, „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“, „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“, „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“, „სპორტული ღონისძიებები“, „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პროგრამების

განხორციელების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განავითარებს ჩვენს ქალაქს და მას ახალ სიცოცხლეს შესძენს.

გენდერული საბჭოს მუშაობა

უკვე ერთ წელზე მეტია, ვხელმძღვანელობ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულ საბჭოს, რომელიც შეიქმნა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, დადგენილებით კი განისაზღვრა საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი. გენდერული საბჭო 21 წევრისაგან შედგება. ჩვენ შევიმუშავეთ და საკრებულოს სხდომაზე დავამტკიცეთ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018-2020 წწ გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რაც ითვალისწინებს შემდეგს:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმის დამკვიდრება;
- გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;
- საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა;

გენდერული უთანასწორობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ისევ გამოწვევად რჩება. მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი აღნიშნული საკითხის დარეგულირებაში. ჩვენ ვგეგმავთ აქტიურ საინფორმაციო კამპანიას როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით,ასევე, თანამშრომლობას მაჟორიტარების წარმომადგენლობებთან, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ახლოს ვიყოთ ჩვენს თანაქალაქელებთან, გავეცნოთ მათ პრობლემებს და დავეხმაროთ საკითხის მოგვარებაში. გენდერული საბჭოს სხდომების და სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზებას ახორციელებს გენდერული საბჭოს სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან საკრებულოს აპარატის თანამშრომლები. ჩვენი ყველა შეხვედრა და აქტივობა პერმანენტულად თავსდება საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tbsakrebulo.gov.ge).

თბილისის მოსახლეობასთან ურთიერთობა

მე, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღებას და მათი პრობლემატიკის შესწავლის საკითხს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული მყავს 270-მდე მოქალაქე. მათი თხოვნების შესაბამისად მოქალაქეთა მიღებას ვახორციელებ საკრებულოში, ასევე

ადგილებზე ან მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობებში. შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემები უკავშირდება შემდეგს: სოციალური, ჯანდაცვა, ურბანული, ინფრასტრუქტურული, კულტურულ-საგანმანათლებლო, ქუჩების სახელდება და სახელწოდების აღმნიშვნელი აბრების განთავსება. კომპეტენციის ფარგლებში, ჩემი სამდივნოს თანამშრომლების დახმარებით ყოველ კონკრეტულ საკითხზე ვამზადებთ შესაბამის შუამდგომლობებს და შემდგომი რეაგირებისათვის ვაგზავნით დანიშნულებისამებრ. მოქალაქეებთან აქტიური შეხვედრები მაძლევს შესაძლებლობას, უფრო ახლოს ვიცნობდე მათ რეალურ პრობლემებს, ხელი შევუწყო საკითხების დროულ რეაგირებას და ჩემს გუნდთან ერთად ვიმუშავო ჩვენი დედაქალაქის პრობლემური საკითხების მოგვარებაზე.

საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სხვა აქტივობები

ჩემი ინიციატივით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაიწყო შემეცნებით-კულტურული ხასიათის პროექტი „თბილსის ისტორიები საკრებულოდან“, რომელიც სხვადასხვა შინაარსის თემაზე უკვე ხუთჯერ ჩატარდა.

1. თებერვალი-„თბილისის ისტორიები საკრებულოდან“(პროექტის პრეზენტაცია) მომხსენებელი-ისტორიკოსი თამაზ გერსამია;

ძველი და ახალი თბილისის თემაზე შექმნილი ფოტოკოლაჟი და მხატვარ ქეთი მატაბელის „თბილისის“ პერიოდის ნამუშევრების გამოფენა.

2. მარტი-„ქალები თბილისის ისტორიაში“-მომხსენებელი ქალთა პოლიტიკური რესურს-ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქეთევან კურცხალია;

„სოციალური თერაპიის სახლის“ წევრების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა.

3. მაისი-„თბილისის ისტორიული პარკები და ბაღები“-მომხსენებლები ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნინო ერაძე; ბოტანიკური ბაღის დირექტორი თამაზ დარჩიძე;

ეროვნულ არქივში დაცული ისტორიული ბაღების ფოტომასალის გამოფენა.

4. ივნისი-„მტკვარი თბილისის უტყვი მემატიანე“ მომხსენებელი- ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ეთნოლოგი თამარ ცაგარეიშვილი;

თბილისში მცხოვრები ბანგლადეშელი მხატვრის- მიმო სუკხის ნამუშევრების გამოფენა.

5. ივლისი-„ძველი თბილისური სადარბაზოები“ მომხენებელი ისტორიკოსი, თბილისის ისტორიის მკვლევარი - თამარ თავაძე;

აღნიშნული პროექტი, რომელშიც ჩართულები არიან ისტორიკოსები, არქიტექტორები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის და ზოგადად ყველა მსურველისთვის თბილისის ისტორიის უკეთ გაცნობას, საკრებულოს მუშაობის სპეციფიკასა და თვითმმართველობის შესახებ ინფორმაციის მიღებას. პროექტის ფარგლებში საკრებულოში მოწვეული გვყავდა თბილისის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

2018 წლის 11-13 ივნისს ესპანეთის ქალაქ ბილბაოში ჩატარდა ევროპის მუნიციპალიტეტთა რეგიონების საბჭოს „GEMR“კონფერენცია, რომელსაც თბილისის საკრებულოს და საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად ვესწრებოდი.

სამდღიანი კონფერენციის, სახელწოდებით „თანასწორობის მრავალფეროვნება და ჩართულობა“ ფარგლებში, საქართველოს დელეგაციის წევრებმა დანარჩენ მონაწილეებთან ერთად ვიმსჯელეთ, სამოქალაქო თანასწორობის, განსხვავებულობისა და ჩართულობის მნიშვნელობაზე. კონფერენციაზე ყურადღება დაეთმო გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მნიშვნელობას და ამ მიმართულებით დაკისრებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

2018 წლის 9-13 ოქტომბერს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ოფიციალურად გაიხსნა, რომელსაც დელეგაციის წევრის სტატუსით დავესწარი. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ყოველწლიურად ათასობით გამომცემელი, წიგნით მოვაჭრე და ლიტერატურული აგენტი მონაწილეობს, სადაც დამთვალიერებელს შეუძლია, გაეცნოს მსოფლიო მასშტაბით ახალ გამოცემებსა და ავტორებს.

საქართველომ მსოფლიოს წარუდგინა ქართული პროგრამა კონცეფციით -Georgia Made by Characters (ანბანით მოთხრობილი საქართველო). ეს უდიდესი პატივია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან აღნიშნულ ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ღირებულებების გაცნობის კუთხით.